ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4264154

ნომერი: AR1641212

თარიღი : 31.10.2018

გაცემის თარიღი : 14.11.2018

გაცნობის თარიღი : 14.11.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კვალი , N 9-11 , გამზირი რუსთაველი , N 29 , ქუჩა თაბუკაშვილი (ძნელაძე/პეტრიწი) N48, ქუჩა მ. მესხი N6 , ქუჩა რ. თაბუკაშვილი (ძნელაძე) N50-52;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით კობახიძე პ/ნ 01024035335
- ურბნისის ქ. #7

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1670216
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 30.12.2014

* შპს დაბი გრუპ ჯორჯიას მინდობილობა;
* შპს ალ დაბი კონტრაქტინგის თანხმობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N181391725.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი 2018 წლის 31 ოქტომბრის N AR1641212 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, (სექტორი-მთაწმინდა), კვალის ქ. N9-11, რუსთაველის გამზ. N29, თაბუკაშვილის (ძნელაძე/პეტრიწი) ქ. N48, მ. მესხის ქ. N6, რ. თაბუკაშვილის (ძნელაძე) ქ. N50-52-ში (ს/კ N01.15.04.012.015) მშენებლობადამთვრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტომასალისა და საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას.

საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 30 დეკემბრის N1670216 ბრძანებით ქ. თბილისში, (სექტორი-მთაწმინდა), კვალის ქ. N9-11, რუსთაველის გამზ. N29, თაბუკაშვილის (ძნელაძე/პეტრიწი) ქ. N48, მ. მესხის ქ. N6, რ. თაბუკაშვილის (ძნელაძე) ქ. N50-52-ში, შპს ,,დაბი გრუპ ჯორჯია''-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, (სექტორი-მთაწმინდა), კვალის ქ. N9-11, რუსთაველის გამზ. N29, თაბუკაშვილის (ძნელაძე/პეტრიწი) ქ. N48, მ. მესხის ქ. N6, რ. თაბუკაშვილის (ძნელაძე) ქ. N50-52-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დაფიქსირდა დარღვევები, რის გამოც 2017 წლის 11 იანვრის N ბ-414052/12 ბრძანებით Dhabi Group Georgia DGG-ს უარი ეთქვა ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 25/10/2018 წ. N17-01182983719 წერილით - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ ობიექტის ხელახალი გადამოწმების შედეგად, ზემოთ ხსენებულ 2017 წლის 11 იანვრის N ბ-414052/12 ბრძანებაში მითითებული, გარკვეული დარღვევები გასწორდა.

წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ფოტომასალისა და საპროექტო დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 62–ე მუხლის პირველი პუნქტის "პ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ადასტურებს განხორციელებული მშენებლობის (საკადასტრო საზღვრებს გარეთ მდებარე ღობის გარდა) ქალაქგეგემარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მის დასაშვებობას.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.